SSL	(სპეციალური შეზღუდვები, მითითებების შესაბამისად)	სააგენტო	სააგენტო
SIC	სპეციალური მითითებები – დაუკავშირდით საავიაციო მედიცინის შემფასებელს (AMA)	სააგენტო	სააგენტო
REV	გადახედვის შემდეგ გაცემული სამედიცინო სერტიფიკატი, შეიძლება მოქმედებდეს სპეციალური ინსტრუქციები, შეიძლება AMA-თან დაკავშირება	სააგენტო	სააგენტო
RXO	საჭიროებს შემოწმებას ოფთალმოლოგის მიერ	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო

მესამე კლასის სამედიცინო სერტიფიკატის შეზღუდვები

კოდი	შეზღუდვა	დააწესა	გააუქმა
TML	ძალაშია მხოლოდ (თარიღი)	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედი ცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
VDL	უნდა ატაროს მაკორეგირებელი სათვალე და თან ჰქონდეს სათადარიგო სათვალე	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედი ცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
VXL	კორექცია დაზიანებული დისტანციური მხედველობისათვის, რომელიც დამოკიდებულია სამუშაო გარემოზე	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედი ცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
VML	უნდა ჰქონდეს მაკორეგირებელი სათვალე შორს, ახლო და საშუალო მანძილზე დაზიანებული მხედველობის კორეგირებისათვის და თან ჰქონდეს სათადარიგო სათვალე	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედი ცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
VCL	ძალაშია მხოლოდ დღისით	სააგენტო	სააგენტო
CCL	კორექცია მხოლოდ კონტაქტური სათვალით	სააგენტო	სააგენტო
VXN	უნდა ჰქონდეს მაკორეგირებელი სათვალე დაზიანებული ახლო მხედველობის კორეგირებისათვის. კორექცია დაზიანებული ახლო მხედველობისათვის, რომელიც დამოკიდებულია სამუშაო გარემოზე	სააგენტო	სააგენტო
VNL	უნდა ჰქონდეს მაკორეგირებელი სათვალე დაზიანებული ახლო მხედველობის კორეგირებისათვის და თან ჰქონდეს სათადარიგო სათვალე	სააგენტო	სააგენტო

SIC	ავიასამედიცინო ექსპერტი უნდა დაუკავშირდეს ავიასამედიცინო შემფასებელს სპეციალური მითითებების მიზნით	სააგენტო	სააგენტო
SSL	სპეციალური შეზღუდვები, ავიასამედიცინო შემფასებლის მითითებების შესაბამისად	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
RXO	საჭიროებს შემოწმებას ოფთალმოლოგის მიერ	სააგენტო	სააგენტო
OPL	ძალაშია მხოლოდ მგზავრების გარეშე	სააგენტო	სააგენტო

ბორტგამყოლის სამედიცინო სერტიფიკატის შეზღუდვები

კოდი	შეზღუდვა	დააწესა	გააუქმა
MCL	ბორტგამყოლის საქმიანობის შეზღუდვა, მხოლოდ მრავალწევრიანი ეკიპაჟის ექსპლუატაციის დროს	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
OAL	ბორტგამყოლის საქმიანობის შეზღუდვა საჰაერო ხომალდის განსაზღვრულ ტიპზე	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
OOL	ბორტგამყოლის საქმიანობის შეზღუდვა ექსპლუატაციის განსაზღვრულ ტიპზე	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
TML	ძალაშია მხოლოდ ... (თარიღი)	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
SIC	ავიასამედიცინო ექსპერტი უნდა დაუკავშირდეს ავიასამედიცინო შემფასებელს სპეციალური მითითებების მიზნით	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
CVL	მოთხოვნები მხედველობის კორექციისათვის	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო

CCL	მოთხოვნები მხოლოდ მაკორეგირებელი სათვალისთვის	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
HAL	ძალაშია მხოლოდ სმენის დანამატებთან ერთად	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო
SSL	სპეციალური შეზღუდვები, ავიასამედიცინო შემფასებლის მითითებების შესაბამისად	ავიასამედიცინო ცენტრი/ავიასამედიცინო ექსპერტი/სააგენტო	სააგენტო

საავიაციო მედიცინის სასწავლო პროგრამა

1. ავიასამედიცინო ექსპერტებისთვის სწავლების ბაზისური კურსი უნდა შეადგენდეს თეორიული და პრაქტიკული სწავლების 60 საათს, რომელიც მოიცავს შემოწმების სპეციფიკურ ტექნიკას.

2. ბაზისური კურსის სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ზოგადი საავიაციო მედიცინა;

ბ) კოსმოსისა და ატმოსფეროს ფიზიკა;

გ) ბაზისური სააერნაოსნო საკითხები;

დ) საავიაციო ფიზიოლოგია;

ე) ოფთალმოლოგია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;

ვ) ოტორინოლარინგოლოგია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;

ზ) კარდიოლოგია და ზოგადი მედიცინა;

თ) ნევროლოგია;

ი) ფსიქიატრია საავიაციო მედიცინაში;

კ) ფსიქოლოგია;

ლ) სტომატოლოგია;

მ) უბედური შემთხვევები და თვითგადარჩენა;

ნ) საავიაციო კანონმდებლობა;

ო) საავიაციო ევაკუაცია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;

პ) ფრენა და მედიკამენტები.

3. ავიასამედიცინო ექსპერტებისთვის სწავლების შემდეგი კურსი უნდა შეადგენდეს თეორიული და პრაქტიკული სწავლების 60 საათს, რომელიც მოიცავს შემოწმების სპეციფიკურ ტექნიკას.

4. სწავლების შემდეგი კურსის სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს, შემდეგ საკითხებს:

ა) მფრინავის სამუშაო გარემო;

- ბ) კოსმოსის ფიზიოლოგია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- გ) ოფთალმოლოგია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- დ) ოტორინოლარინგოლოგია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- ე) კარდიოლოგია და ზოგადი მედიცინა, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით
- ვ) ნევროლოგია/ფსიქიატრია, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- ზ) ადამიანური ფაქტორი ავიაციაში, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- თ) ტროპიკული მედიცინა;
- ი) ჰიგიენა, დემონსტრირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩათვლით;
- კ) კოსმოსური მედიცინა.

5. პრაქტიკული ტრეინინგი ავიასამედიცინო ცენტრში უნდა ჩატარდეს ავიასამედიცინო ცენტრის დირექტორის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით.

6. პრაქტიკული ტრეინინგის წარმატებით დასრულების შემდეგ სააგენტოს უნდა წარედგინოს ანგარიში მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ცოდნის შესახებ.

დანართი № 11

საავიაციო მედიცინის ბაზისური კურსის სილაბუსი

2 საათი	საავიაციო მედიცინის გაცნობა საავიაციო მედიცინის ისტორია; საავიაციო მედიცინის სპეციფიკური ასპექტები; სხვადასხვა სახის რეკრეაციული ფრენა; ავიასამედიცინო ექსპერტის და პილოტის ურთიერთობა; ავიასამედიცინო ექსპერტის პასუხისმგებლობა; საავიაციო უსაფრთხოებაში კომუნიკაციისა და ინტერვიუს ტექნიკა.
2 საათი	ბაზისური აეროდინამიკა ადამიანი-მანქანის ურთიერთგავლენა; ინფორმაციის დამუშავება; ჩვეულებრივი ინსტრუმენტები; „მინის კაბინეტი“; რეკრეაციული ფრენა; სიმულატორის/თვითმფრინავის გამოცდილება; ფრენის მექანიზმები.
9 საათი	საავიაციო ფიზიოლოგია ა ატმოსფერო;

	ადამიანების ფუნქციონალური შეზღუდვები ფრენის დროს; ატმოსფეროს დაყოფა; აირების კანონები და მათი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა; დეკომპრესიის ფიზიოლოგიური ეფექტები; სუნთქვა; აირების ცვლა სისხლში; სისხლის ჟანგბადით გაჯერება; ჰიპოქსიის ნიშნები და სიმპტომები, ცნობიერების სასარგებლო საშუალო დრო; ჰიპერვენტილაციის ნიშნები და სიმპტომები; ბაროტრავმა; დეკომპრესიული ავადმყოფობა; აჩქარება; G-ვექტორის ორიენტაცია; G-დატვირთვის ეფექტები და საზღვრები; GZ ტოლერანტობის გაზრდის მეთოდები; დადებითი/უარყოფითი აჩქარება; აჩქარება და ვესტიბულური სისტემა; ვიზუალური დეზორიენტაცია; დახრილი ღრუბლის გემზანი; მიწისზედა განათება და ვარსკვლავებით გამოწვეული დაბნეულობა; ვიზუალური ავტოკინეზი; ვესტიბულური დეზორიენტაცია; შიდა ყურის ანატომია; ნახევარკალოვანი არხების ფუნქცია; ოტოლიტური ორგანოების ფუნქცია, ოკულოგიური და კორიოლისის ილუზია „იხრება“; წინა აჩქარების ილუზია „ცხვირის ზემოთ“; შენელების ილუზია „ცხვირის ქვემოთ“; მოძრაობის ავადმყოფობა – მიზეზები და მართვა; ხმაური და ვიბრაცია; პრევენციული ზომები.
3 საათი	კარდიოვასკულარული სისტემა გულ-სისხლძარღვთა სისტემა ავიაციასთან მიმართებაში; ქმედუნარობის დაკარგვის რისკი; გამოკვლევები: ეკგ, ლაბორატორიული გამოკვლევა და სხვა სპეციალური გამოკვლევები.
3 საათი	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები: ჰიპერტენზია, მკურნალობა და შეფასება გულის იშემიური დაავადება; ეკგ-ს დასკვნები; მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომ, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის პირობებში შეფასება; ინტერვენციული პროცედურების და კარდიომიოპათიის ქირურგია; პერიკარდიტი; გულის რევმატული დაავადება; სარქველოვანი დაავადებები; რიტმისა და გამტარობის დარღვევა; მკურნალობა და შეფასება; გულის თანდაყოლილი დაავადებები: ქირურგიული კარდიოვასკულარული სინკოპე – ერთჯერადი და განმეორებითი ეპიზოდები.
10 საათი	სასუნთქი სისტემა კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი; გამოკვლევები: სპირომეტრია, პიკური ნაკადი, რენტგენი, სხვა გამოკვლევები; ფილტვის დაავადებები: ასთმა, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები, ინფექციები, ტუბერკულოზი, ბულა, პნევმოთორაქსი, ობსტრუქციული ძილის აპნოე; მკურნალობა და შეფასება. საჭმლის მომნელებელი სისტემა კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი; კუჭ-ნაწლავის სისტემის შემოწმება; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევები: გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება,

	სანადგლე გზების დაავადებები, ჰეპატიტი და პანკრეატიტი; ნაწლავის ანთებითი დაავადება, გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავი, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, თიაქარი; მკურნალობა და შეფასება ოპერაციის შემდგომი პერიოდის ჩათვლით. მეტაბოლური და ენდოკრინული სისტემები კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი; ენდოკრინული დარღვევები; 1-ლი და მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტი, დიაგნოსტიკური ტესტები და კრიტერიუმები (B) ანტიდიაბეტური თერაპია ავიაციაში კონტროლის დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმები; ჰიპერ/ჰიპოთირეოზი; ჰიპოფიზის და თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქციის დარღვევები; მკურნალობა და შეფასება. ჰემატოლოგია კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი; სისხლის დონაციის ასპექტები; ერიტროციტოზი; ანემია; ლეიკემია; ლიმფომა; ნამგლისებრუჯრედოვანი დარღვევები, თრომბოციტების დარღვევები, ჰემოგლობინოპათიები; კლასიფიკაცია; მკურნალობა და შეფასება. შარდსასქესო სისტემა კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი მეანობა და გინეკოლოგია კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი. კუნთოვანი სისტემა ხერხემლის სვეტის დაავადებები; ართროპათიები და ართროპროთეზები; ფიზიკური შეზღუდვის მქონე პილოტები; საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა, საფრენოსნო შეფასება.
2 საათი	ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის შესავალი ავიაციაში, როგორც ფსიქიატრიული შეფასების ნაწილი; ფსიქოლოგიური გამოკვლევის მეთოდები, ქცევა და პიროვნება; დატვირთვის მართვა და სიტუაციური ცნობიერება; ფრენის მოტივაცია და ვარგისიანობა; ჯგუფური სოციალური ფაქტორები; ფსიქოლოგიური სტრესი, სტრესის დაძლევა, დადლილობა; ფსიქომოტორული ფუნქციები და ასაკი; გონებრივი ფიტნესი და ვარჯიში.
3 საათი	ნევროლოგია კავშირი ავიაციასთან, ქმედუნარობის რისკი; ნევროლოგიური გამოკვლევები; ნევროლოგიური დარღვევები; ა) კრუნჩხვები – ერთჯერადი ეპიზოდის შეფასება; ბ) ეპილეფსია; გ) გაფანტული სკლეროზი; დ) თავის ტრავმა; ე) პოსტტრავმული მდგომარეობა; ვ) სისხლმარღვთა დაავადებები; ზ) სიმსივნეები;

	თ) ცნობიერების დარღვევა – ერთჯერადი და განმეორებითი ეპიზოდების შეფასება, დეგენერაციული ცვლილებები, ძილის დარღვევა, მკურნალობა და შეფასება.
2 საათი	ფსიქიატრია 1. ავიაციასთან კავშირი, ქმედუნარობის რისკი; 2. ფსიქიატრიული გამოკვლევა; 3. ფსიქიატრიული დარღვევები: ნევროზი, პიროვნული აშლილობა, ფსიქოზი, ორგანული ფსიქიკური დაავადება; 4. ალკოჰოლის და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერ(ებ)ის გამოყენება; 5. მკურნალობა, რეაბილიტაცია და შეფასება.
4 საათი	ვიზუალური სისტემა და ფერთა ხედვა, თვალის ანატომია კავშირი ავიაციასთან; გამოკვლევის ტექნიკა; ა) მხედველობის სიმახვილის შეფასება; ბ) ვიზუალური დამხმარე საშუალებები; გ) მხედველობის ველები – სერტიფიცირებისთვის მისაღები ლიმიტები; დ) თვალის კუნთების ბალანსი; ე) თვალის პათოლოგიური მდგომარეობის შეფასება; ვ) გლაუკომა (iv) მონოკულარული და სამედიცინო ფრენის ტესტები, ფერის ხედვა; ტესტირების მეთოდები: ფსევდოიზოქრომატული ფირფიტები, ლენტის ტესტი, ანომალოსკოპია; ტესტების სტანდარტების და პროტოკოლების მნიშვნელობა თვალის ოპერაციის შემდეგი შეფასების პროცესში.
3 საათი	ოტორინოლარინგოლოგია ანატომია; კლინიკური გამოკვლევები ოტო-რინო-ლარინგოლოგიაში; სმენის ფუნქციური ტესტები; ვესტიბულური სისტემა, თავბრუსხვევა, გამოკვლევის ტექნიკა; შეფასება ოტო-რინო-ლარინგოლოგიური ოპერაციის შემდეგ; ყურების და სინუსების ბაროტრაპია; ოტო-რინო-ლარინგოლოგიური პათოლოგიები ავიაციაში; ოტო-რინო-ლარინგოლოგიური მოთხოვნები.
1 საათი	ონკოლოგია კავშირი ავიაციასთან; მეტასტაზების და ინვალიდობის რისკი; ქმედუნარობის რისკი; რისკების მართვა; მკურნალობისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდები.
1 საათი	ინციდენტები და უზედური შემთხვევები, გაქცევა და გადარჩენა ავარიების სტატისტიკა; დაზიანებები; საავიაციო პათოლოგია, სიკვდილის შემდგომი გამოკვლევა, იდენტიფიკაცია; თვითმფრინავის ევაკუაცია: ა) ხანძარი; ბ) ავარიული დაჯდომა წყალზე; გ) პარაშუტი.
2 საათი	მედიკამენტები და ფრენა მედიკამენტების საშიშროება; ხშირი გვერდითი მოვლენები; რეცეპტით გაცემული მედიკამენტები; ურეცეპტოდ გაცემული მედიკამენტები; მცენარეული მედიკამენტები; „ალტერნატიული“ თერაპია; წამალი ძილის დარღვევისთვის.
4 საათი	კანონმდებლობა, წესები და რეგულაციები

	ICAO-ს სტანდარტები და რეკომენდებული პრაქტიკა, ევროპული დებულებები (მაგ., განხორციელების წესები, AMC და GM); ქმედუნარიობა: ქმედუნარიობის მისაღები რისკი ავიაში; ქმედუნარიობის სახეები; საექსპლუატაციო ასპექტები; ავიაში ვარგისობის შეფასების ძირითადი პრინციპები; საექსპლუატაციო და გარემო პირობები; სამედიცინო ლიტერატურის გამოყენება პროფესიული ვარგისობის შეფასებისას აკრედიტებული სამედიცინო დასკვნა; ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინება; აკრედიტებული სამედიცინო დასკვნა, ცოდნის გამოცდილების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით; სამედიცინო ფრენის ტესტი.
1 საათი	ბორტგამყობის სამუშაო გარემო გარემო სალონში, სამუშაო დატვირთვა, მოვალეობის და დასვენების დრო, დადლილობის რისკის მართვა; ბორტგამყობის მოვალეობები და მასთან დაკავშირებული ტრენინგი; თვითმფრინავების და ექსპლუატაციის ტიპები; ერტილოტიანი და მრავალპილოტიანი ეკიპაჟის ექსპლუატაცია.
1 საათი	სალონის სამუშაო გარემო ჰიგიენა თვითმფრინავში: წყალმომარაგება, ჟანგბადის მიწოდება, ნარჩენების გატანა, დასუფთავება, დეზინფექცია და დეზინფექცია; კვება; ეკიპაჟის კვება; თვითმფრინავი და გადამდები დავადებები.
1 საათის	კოსმოსური მედიცინა მიკროგრავიტაცია და მეტაბოლიზმი, სიცოცხლის მეცნიერებები.
8 საათი	საბაზისო საავიაციო აეროდინამიკური ცოდნის დემონსტრირება
2 საათი	დასკვნითი პუნქტები
	საბოლოო გამოცდა
	ბრიფინგი და კრიტიკა

დანართი №12

მედიკამენტები – სახელმძღვანელო მასალა ავიასპეციალისტისთვის

ეს სახელმძღვანელო მასალა უზრუნველყოფს ავიასპეციალისტის დახმარებას გადაწყვეტილების მიღებაში – საჭიროა თუ არა AME, AeMC და სამედიცინო შემფასებლის კონსულტაცია.

ავიასპეციალისტის მიერ წამლის მიღებამდე და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებამდე, აუცილებელია, დამაკმაყოფილებლად გაეცეს პასუხი შემდეგ შეკითხვებს:

1. გრძნობს თუ არა თავს ვარგისად ფრენისთვის?
2. სჭირდება თუ არა მედიკამენტების მიღება?
3. გამოსცადა თუ არა ეს კონკრეტული მედიკამენტი ხმელეთზე, რათა დარწმუნებულიყო, რომ იგი არ მოახდენდა რაიმე უარყოფით გავლენას მისი ფრენის უნარზე?

გვერდითი ეფექტების არარსებობის დადასტურებას, შესაძლოა, დასჭირდეს ავიასამედიცინო ექსპერტის რჩევა.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ფართოდ გამოყენებული მედიკამენტი საფრენოსნო მოვალებებთან მათი თავსებადობის აღწერით:

1. ანტიბიოტიკები.

ანტიბიოტიკებს შეიძლება ჰქონდეს მოკლევადიანი ან დაგვიანებული გვერდითი მოვლენები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ავიასპეციალისტის მუშაობაზე. თუმცა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი გამოყენება ჩვეულებრივ მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ინფექცია და ამრიგად, ამ ინფექციის შედეგები შეიძლება ნიშნავდეს, რომ ავიასპეციალისტს არ შეუძლია სამსახურებრივი მოვალებების შესრულება და ესაჭიროება ავიასამედიცინო ექსპერტის რჩევა.

2. მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატები.

მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია გეოგრაფიულ არეალზე, სადაც, შესაძლოა, ავიასპეციალისტი მოხვდეს, ასევე კოლო ანოფელესით დასნებოვნების და მალარიით დაავადების რისკზე. საჭიროა ავიასამედიცინო ექსპერტის სამედიცინო დასკვნა იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება და რომელი პრეპარატები შეიძლება იქნას გამოყენებული.

მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატების უმრავლესობა (ატოვაკვონი პლუს პროგუანილი, ქლოროქინი, დოქსიციკლინი) თავსებადია ფრენასთან, თუმცა, მეფლოქინთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენები მოიცავს უძილობას, უცნაურ სიზმრებს, განწყობის ცვლილებას, გულისრევას, დიარეას და თავის ტკივილს. გარდა ამისა, მეფლოქინმა შეიძლება გამოიწვიოს სივრცითი დეზორიენტაცია და კოორდინაციის მოშლა და, შესაბამისად, შეუთავსებელია ფრენის მოვალებებთან.

3. ანტიჰისტამინები.

ანტიჰისტამინურმა პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა. ისინი ფართოდ გამოიყენება „გაციების სამკურნალოდ“ და თივის ცხელების, ასთმის და ალერგიული გამონაყარის სამკურნალოდ. ისინი შეიძლება იყოს ტაბლეტების ან ცხვირის წვეთების სახით და სპრეის შემადგენელი ნაწილი. ხშირ შემთხვევაში, ავიასპეციალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობამ, ალერგიამ, შეიძლება ხელი შეუშალოს ფრენას, ასე რომ, თუ მკურნალობა აუცილებელია, საჭიროა ავიასამედიცინო ექსპერტის რჩევა, რათა დაინიშნოს არასედაციური ანტიჰისტამინური პრეპარატები, რომლებიც არ აქვეითებს ადამიანის შრომისუნარიანობას.

4. ხველის სამკურნალო საშუალებები.

ხველის საწინააღმდეგო საშუალებები ხშირად შეიცავს კოდეინს, დექსტრომეტორფანს ან ფსევდოეფედრინს, რომლებიც არ არის თავსებადი ფრენასთან, თუმცა, მუკოლიზური აგენტები (მაგ., კარბოცისტეინი) კარგად გადაიტანება და თავსებადია ფრენასთან.

5. დეკონგესტანტები.

ცხვირის დეკონგესტანტები, რომლებიც არ მოქმედებენ ავიასპეციალისტის კონცენტრაციის უნარის დაქვეითებაზე, შეიძლება თავსებადი იყოს ფრენასთან, თუმცა, ავიასპეციალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს დეკონგესტანტების გამოყენებას, შეიძლება არ იყოს არათავსებადი ფრენასთან. ამდენად, საჭიროა ავიასამედიცინო ექსპერტის რჩევა, მაგალითად, ლორწოვანი გარსის შეშუპება ხელს უშლის ყურებსა ან სინუსებში წნევის გათანაბრებას, გამოიყენება თივის ცხელების სამკურნალოდ და თავსებადია ფრენასთან.

6. ცხვირის კორტიკოსტეროიდები, ჩვეულებრივ, გამოიყენება თივის ცხელების სამკურნალოდ და ისინი თავსებადია ფრენასთან.

7. ტკივილგამაყუჩებლები და სიცხის დამწვევი პრეპარატები.

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები და პარაცეტამოლი, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ტკივილის, ცხელების ან თავის ტკივილის სამკურნალოდ, შეიძლება იყოს ფრენასთან თავსებადი. თუმცა, ავიასპეციალისტმა წამლის გამოყენებამდე და საფრენი მოვალეობების შესრულებამდე დადებითი პასუხი უნდა გასცეს სამ ძირითად შეკითხვას:

ა) გრძნობს თუ არა თავს ფრენისთვის ვარგისად?

ბ) სჭირდება თუ არა მედიკამენტების მიღება საერთოდ?

გ) გამოსცადა თუ არა ეს კონკრეტული მედიკამენტი ხმელეთზე, რათა დარწმუნებულიყო, რომ იგი არ მოახდენდა რაიმე უარყოფით გავლენას მის ფრენის უნარზე?

8. ძლიერი ანალგეტიკები. უფრო ძლიერი ანალგეტიკები, კოდეინის ჩათვლით, არის ოპიატების წარმოებულები და შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება და, შესაბამისად, შეუთავსებელია ფრენასთან.

9. წყლულის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

კუჭის სეკრეციის ინჰიბიტორები, როგორიცაა, H2 ანტაგონისტები (მაგ., რანიტიდინი, ციმეტიდინი) ან პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები (მაგ, ომეპრაზოლი) შეიძლება მისაღები იყოს დიაგნოზის დადგენის შემდეგ. მნიშვნელოვანია დიაგნოზის დადგენა და არა მხოლოდ დისპეფსიური სიმპტომების მკურნალობა.

10. დიარეის საწინააღმდეგო პრეპარატები.

ლოპერამიდი არის დიარეის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრეპარატი და ჩვეულებრივ, უსაფრთხოა ფრენის დროს. თუმცა, თავად დიარეა ხშირად ხდის ავიასპეციალისტს არავარგისად მისი მოვალეობების განხორციელებისათვის.

11. ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს და ჰორმონების შემცველ თერაპიას, როგორც წესი, არა აქვს გვერდითი ეფექტები და თავსებადია ფრენასთან.

12. ერექციული დისფუნქციის წამალი.

ამ მედიკამენტმა შეიძლება გამოიწვიოს ფერთა აღქმის დარღვევა და თავბრუსხვევა. სილდენაფილის მიღებასა და ფრენას შორის უნდა იყოს გასული მინიმუმ 6 საათი; ვარდენაფილის ან ტადალაფილის მიღებასა და ფრენას შორის – 36 საათი.

13. მოწვევის შეწყვეტა.

ნიკოტინის შემცველი თერაპია შეიძლება იყოს მისაღები. თუმცა, სხვა მედიკამენტები, რომლებიც გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ბუპროპრიონი, ვარენიკლინი) არ არის მისაღები.

14. მაღალი წნევის წამალი.

ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების უმრავლესობა თავსებადია ფრენასთან. თუმცა, თუ არტერიული წნევის დონე ისეთია, რომ საჭიროა მედიკამენტის გამოყენება, ავიასპეციალისტზე, მისი მოვალეობის შესრულებამდე, უნდა დაწესდეს მონიტორინგი, ნებისმიერი გვერდითი ეფექტის გამოვლენის მიზნით. ასევე, საჭიროა ავიასამედიცინო ექსპერტის რჩევა.

15. ასთმის მედიკამენტები.

ასთმა უნდა იყოს კლინიკურად სტაბილური, სანამ ავიასპეციალისტი შეძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას. რესპირატორული აეროზოლების ან ფხვნილების გამოყენება, როგორცაა, კორტიკოსტეროიდები, ბეტა-2-აგონისტები ან ქრომოგლიცინუმის მჟავა, შეიძლება თავსებადი იყოს ფრენასთან. თუმცა, ორალური სტეროიდების ან თეოფილინის წარმოებულების გამოყენება შეუთავსებელია ფრენასთან. ავიასპეციალისტებმა, რომლებიც იყენებენ ასთმის სამკურნალო საშუალებებს, უნდა მიმართონ კონსულტაციისთვის AME-ს, AeMC-ს, ან სამედიცინო შემფასებელს.

16. ტრანკვილიზატორები და სედაციური საშუალებები.

ლეტალური საავიაციო მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი ამ ჯგუფის მედიკამენტების გამოყენების შედეგად განვითარებული შრომისუუნარობაა. გარდა ამისა, ძირითადი მდგომარეობა, რომლისთვისაც დაინიშნა ეს მედიკამენტები, უპირობოდ ნიშნავს, რომ ავიასპეციალისტის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის თავსებადი მის მოვალეობებთან.

17. საძილე ტაბლეტები.

საძილე ტაბლეტები აქვეითებს გრძნობებს, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა, ცნობიერების დაქვეითება და რეაქციის შენელება. მედიკამენტის ეფექტის ხანგრძლივობა განსხვავებული და ინდივიდუალურია და შეიძლება იყოს ძალიან ხანგრძლივი. საძილე ტაბლეტების გამოყენებამდე, სავალდებულოა, ავიასამედიცინო ექსპერტის კონსულტაცია.

18. მელატონინი.

მელატონინი არის ჰორმონი, რომელიც მონაწილეობს ცირკადული რიტმის რეგულირებაში. ზოგიერთ ქვეყანაში ის რეცეპტით გაიცემა, ხოლო სხვა ქვეყნებში ის ითვლება „კვებით დანამატად“ და მისი შემენა შესაძლებელია ყოველგვარი რეცეპტის გარეშე. მელატონინის მკურნალობის ეფექტურობა ურთიერთგამომრიცხავია სხვადასხვა საათობრივი ზონების (სარტყელების) გადაკვეთის და ძილის მკურნალობის დროს. საჭიროა, ავიასამედიცინო ექსპერტის კონსულტაციის მიღება.

19. შეიძლება ყავის და სხვა კოფეინირებული სასმელის მიღება, მაგრამ ყავის გადაჭარბებულმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება, მათ შორის, გულის რითმის დარღვევა. სხვა სტიმულატორებმა, მათ შორის, კოფეინის ტაბლეტებმა, ამფეტამინი და ა.შ. (გამამხნეველები

ტაბლეტები), რომლებიც გამოიყენება სიფხიზლის შესანარჩუნებლად ან მადის დასაქვეითებლად, შეიძლება გამოიწვიოს მიჩვევა. ასევე, სხვადასხვა სტიმულატორების მიმართ მიმღებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საშიში თავდაჯერებულობა.

20. ანესთეტიკები.

ადგილობრივი, ზოგადი, სტომატოლოგიური და სხვა სახის ანესთეზიების გამოყენების შემდეგ, საჭიროა გარკვეული დროის გასვლა ფრენამდე. დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, თუმცა ავiasპეციალისტებმა არ უნდა იფრინონ ადგილობრივი ანესთეზიის შემდეგ 12 საათი და ზოგადი, სპინალური და ეპიდურალური ანესთეზიის შემდეგ – 48 საათი.

ამჟამად ბაზარზე არსებული ბევრი პრეპარატი შეიცავს წამლების კომბინაციას. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ახალი პრეპარატის ან განსხვავებული დოზის (უმნიშვნელო დოზისაც კი) მიღების შემთხვევაშიც, ეფექტი შეფასდეს მიწაზე – ავiasპეციალისტის ფრენამდე. იმის გამო, რომ ინდივიდი შეიძლება იყოს ძალიან მგრძნობიარე კონკრეტული პრეპარატის მიმართ, რეკომენდებულია, რომ ფრენამდე და ფრენის პროცესში არ იქნეს მიღებული პრეპარატი, თუ ის კარგად არა აქვს გამოცდილი ავiasპეციალისტს. საექვო შემთხვევაში, საჭიროა AME, AeMC კონსულტაცია. სხვა სახის მკურნალობა, როგორიცაა, აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, ჰიპნო თერაპია და სხვა მიმართულებები, ვითარდება და უფრო მეტად სანდო ხდება. აუცილებელია, „მკურნალობის სხვა მეთოდები“ და ასევე, ძირითადი მდგომარეობა, შეფასდეს AME, AeMC მიერ.

**ავიასამედიცინო ცენტრის სამედიცინო ტექნიკური ბაზისა და სასწავლო ცენტრის
პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისთვის საჭირო ბაზაზე სავალდებულო
აღჭურვილობის ჩამონათვალი**

ავიასამედიცინო ცენტრის სამედიცინო ტექნიკური ბაზა და სასწავლო ცენტრის
პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისთვის საჭირო ბაზა წარმოდგენილი უნდა
იყოს შემდეგი აღჭურვილობით:

საშუალებები/მოწყობილობა შემდეგი კვლევების განხორციელებისათვის:

კარდიოლოგია

- (1) 12-განხრიანი მოსვენების ეკგ
- (2) სტრესული ეკგ
- (3) არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორინგი
- (4) გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორინგი

ოფთალმოლოგია

საშუალებები/მოწყობილობა შემდეგი კვლევების განხორციელებისათვის:

- (1) ახლო, შუალედური და შორეული მხედველობა
- (2) გარე თვალი ანატომია და ფუნდოსკოპია
- (3) თვალის მოძრაობა
- (4) ბინოკულარული ხედვა
- (5) ფერის ხედვა (ანომალოსკოპია ან ექვივალენტი)
- (6) ვიზუალური ველები
- (7) რეფრაქცია
- (8) ჰეტეროფორია

ოტო-რინო--ლარინგოლოგია

საშუალებები/მოწყობილობა შემდეგი კვლევების განხორციელებისათვის:

სმენა

(1) სუფთა ტონის აუდიომეტრია

ოტო-რინო--ლარინგოლოგია

საშუალებები/მოწყობილობა შემდეგი კვლევების განხორციელებისათვის:

(1) ოტოსკოპია

(2) რინოსკოპია

(3) ტიმპანომეტრია ან ექვივალენტი

(4) ვესტიბულური სისტემის კლინიკური შეფასება

ფილტვის ფუნქციის გამოკვლევა

საშუალებები/მოწყობილობა შემდეგი კვლევების განხორციელებისათვის:

(1) სპირომეტრია

ავიასამედიცინო ცენტრში ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვლევების შემდეგი

საშუალებები/მოწყობილობა (ან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სერვისი პროვაიდერების მიერ):

(1) კლინიკური ლაბორატორიული კვლევის განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობა

(2) ულტრაბგერითი აპარატი